

დიაბეტის მართვა
(მოსარგებლეთა გზამკვლევი)

შაქრიანი დიაბეტი ქრონიკული დაავადებაა, რომელიც ორგანიზმში ჰორმონ ინსულინის დეფიციტის შედეგად სისხლში გლუკოზის დონის მომატებით ხასიათდება. უშაქრო დიაბეტი ასევე ქრონიკული დაავადებაა, რომელიც გამოწვეულია ჰორმონ ვაზოპრესინის (ანტიდიურეზული) ჰორმონის დეფიციტით. ორივე შემთხვევაში დაავადების არასათანადო მართვა იწვევს ორგანიზმში სხვა მნიშვნელოვანი დარღვევების პროვოცირებას და მნიშვნელოვნად ზრდის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ რისკებს. შაქრიანი დიაბეტის სათანადო მართვისა და გართულებების თავიდან აცილების მიზნით, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარს შეუძლია მიიღოს ამბულატორიული და ჰოსპიტალური სამედიცინო მომსახურება, ასევე მათთვის აუცილებელი მედიკამენტები და სისხლში შაქრის (გლუკოზის) დონის კონტროლისთვის აუცილებელი სხვა საშუალებები.

შაქრიანი დიაბეტის მქონე პაციენტებისთვის სამედიცინო მომსახურების სახეები

ამბულატორიული მომსახურება:

18 წლამდე ასაკის შაქრიანი დიაბეტის მქონე ბავშვებს და 18 წლის ზემოთ პირებს, რომელთაც დიაბეტთან ერთად აღენიშნებათ მხედველობის დაქვეითება (უსინათლოები), აქვთ თანდაყოლილი ცერებრული დამბლა ან/და უშაქრო დიაბეტი, დაუნის სინდრომი ან დუშენ-ერბის დაავადება, პროგრამის ფარგლებში უფასოდ, თანაგადახდის გარეშე მიეწოდებათ შემდეგი სერვისები:

- ენდოკრინოლოგის კონსულტაცია/მეთვალყურეობა-წელიწადში 4-ჯერ;
- სისხლის საერთო ანალიზი-წელიწადში 2-ჯერ;
- შარდის საერთო ანალიზი-წელიწადში წელიწადში 2-ჯერ;
- შარდის ანალიზი მიკროალბუმინურიაზე წელიწადში 1-ჯერ;
- ნევროლოგის კონსულტაცია/ნეიროპათიული კვლევა წელიწადში 1-ჯერ;
- გლიკოჰემოგლობინის განსაზღვრა კაპილარული სისხლით (კვარტალში ერთხელ)-წელიწადში 4-ჯერ;
- დიაბეტით გამოწვეული თვალის დაავადებების კვლევა-წელიწადში 2-ჯერ;
- პროგრამის მოსარგებლების და მათი მშობლების სამედიცინო განათლება-წელიწადში 4-ჯერ;
- ფიზიკური რეაბილიტაციის უზრუნველყოფა, პაციენტის სურვილის შემთხვევაში-წელიწადში 10-ჯერ;
- საჭიროების შემთხვევაში, პაციენტებისთვის, რომელთაც არ ესაჭიროებათ მედიკამენტის დოზის კორექცია, სამედიცინო ცნობის და რეცეპტის გაცემა;

დანიშნული სერვისების წლიური დაფინანსება თითოეულ ბენეფიციარზე შეადგენს 900 ლარს.

იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარს ესაჭიროება ექიმის მიერ დანიშნული მედიკამენტის დოზის კორექცია, შაქრიანი დიაბეტის (ინსულინმომხმარებელი, არაინსულინმომხმარებელი) მქონე ყველა ასაკის პირისთვის ფინანსდება

სპეციალიზებული ამბულატორიული სერვისები:

- ექიმ-ენდოკრინოლოგის მეთვალყურეობა;
- პროგრამის მოსარგებლეების შესაბამისი სამედიცინო განათლება.

საჭიროების გამოვლენის შემთხვევაში, ექიმ-ენდოკრინოლოგის დანიშნულების შესაბამისად, დამატებით ფინანსდება:

კონსულტაციები ექიმ-სპეციალისტებთან:

- ნევროპათოლოგი;
- კარდიოლოგი;
- ოფთალმოლოგი;
- ანგიოლოგი.

კლინიკო-ლაბორატორიული გამოკვლევები:

- გლუკოზის განსაზღვრა სისხლში, არანაკლებ 6 ერთეულისა ერთ პაციენტზე;
- გლიკოჰემოგლობინის განსაზღვრა;
- კრეატინინის და/ან შარდოვანას განსაზღვრა სისხლში;
- მიკროალბუმინურიის კვლევა;
- სისხლის საერთო ანალიზი;
- შარდის საერთო ანალიზი;
- C- პეპტიდი;
- ჰომა – 2-ის ინდექსი
- ელექტროკარდიოგრაფია

მედიკამენტის დოზის კორექციისთვის გათვალისწინებული ზემოხსენებული მომსახურებები ფინანსდება წელიწადში ერთჯერადად, არაუმეტეს 240 ლარით, შემდეგი პრინციპით:

- შაქრიანი დიაბეტის მქონე ინსულინმომხმარებელი პირებისთვის, მომსახურება ფინანსდება 70%-ით.
- შაქრიანი დიაბეტის მქონე არაინსულინმომხმარებელი პირებისთვის, მომსახურება ფინანსდება 50%-ით.

სტაციონარული მომსახურება:

კომის გარეშე მიმდინარე შემთხვევების სტაციონარული მომსახურება უფასოდ, თანაგადახდის გარეშე მიეწოდებათ:

- 18 წლამდე ასაკის შაქრიანი დიაბეტის მქონე ბავშვებს
- 18 წლის ზემოთ პირებს, რომელთაც დიაბეტთან ერთად აღენიშნებათ მხედველობის დაქვეითება (უსინათლოები), აქვთ თანდაყოლილი ცერებრული დამბლა ან/და უშაქრო დიაბეტი, დაუნის სინდრომი ან დუშენ-ერბის დაავადება. თითოეული შემთხვევის დაფინანსება შეადგენს 800 ლარს.

*კომით მიმდინარე შემთხვევების სტაციონარული მომსახურება ფინანსდება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, პაციენტის კუთვნილი პაკეტის შესაბამისად.

მედიკამენტებით და საანალიზო მოწყობილობებით უზრუნველყოფა:

- შაქრიანი დიაბეტის მქონე 18 წლის და უფროსი ასაკის პაციენტებისთვის ფინანსდება ინსულინი და მისი ანალოგები;
- შაქრიანი დიაბეტის მქონე 18 წლამდე ასაკის ბენეფიციარებისთვის ულტრახანმოკლე და ულტრახანგრძლივი ინსულინის ანალოგებით უზრუნველსაყოფი ახლადგამოვლენილ მოსარგებლეთა დადგენა, სამკურნალო საშუალებების გაცემა, ასევე ადამიანის ინსულინიდან ინსულინის ანალოგებზე გადასვლა და დოზის კორექცია ხორციელდება ექიმ-სპეციალისტის მიერ გაცემული ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის ფორმა №IV-100/ა-ის საფუძველზე;
- შაქრიანი დიაბეტის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვებისა და 18 წლის ზემოთ პირებისთვის, რომელთაც დიაბეტთან ერთად აღენიშნებათ მხედველობის დაქვეითება (უსინათლოები), აქვთ თანდაყოლილი ცერებრული დამბლა ან/და უშაქრო დიაბეტი, დაუნის სინდრომი ან დუშენ-ერბის დაავადება, ფინანსდება დიაბეტის უწყვეტი მონიტორინგისა და მართვისთვის საჭირო მედიკამენტები და საანალიზო მოწყობილობები: მათ შორის:
 - ინსულინი (მ.შ ახალი თაობის ხანგრძლივი მოქმედების ინსულინი დეგლუდეკი-გაიცემა კომისიურად), ინსულინის ანალოგები, გლუკაგონი, შპრიც-კალმისტრები და შესაბამისი ნემსები. **ინსულინის ნემსი** (ზომით 4 მმ, 6 მმ და/ან 8 მმ) გაიცემა ერთ ჯერზე არაუმეტეს 1 კოლოფისა (100 ც), მაგრამ არაუმეტეს წელიწადში ჯამურად 4 კოლოფისა (400 ც).
 - სისხლში გლუკოზის საანალიზო ტესტჩხირები და სისხლის ასაღები ლანცეტის ნემსები-გაიცემა თითოეულ მოსარგებლეთაზე წლის მანძილზე 1200 ცალი ტესტჩხირი და 200 ცალი ლანცეტის ნემსი;
 - შარდში კეტოსხეულების განმსაზღვრელი ტესტჩხირები-გაიცემა 1 კოლოფი (50 ც.) კალენდარულ წელიწადში.
 - შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1-ის მქონე ბავშვებისთვის-სისხლში გლუკოზის უწყვეტი მონიტორინგის სისტემები (CGM) და სენსორები;

უმაქრო დიაბეტის მქონე პირებისთვის

მედიკამენტებით უზრუნველყოფა:

ადიურეზული ჰორმონით უზრუნველყოფა.

ამბულატორიული მომსახურება:

იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარს ესაჭიროება ექიმის მიერ დანიშნული მედიკამენტის დოზის კორექცია, უმაქრო დიაბეტის მქონე ყველა ასაკის პირისთვის ფინანსდება სპეციალიზებული ამბულატორიული სერვისები:

- ექიმ-ენდოკრინოლოგის მეთვალყურეობა;
- პროგრამის მოსარგებლების შესაბამისი სამედიცინო განათლება.

საჭიროების გამოვლენის შემთხვევაში, ექიმ-ენდოკრინოლოგის დანიშნულების შესაბამისად, დამატებით ფინანსდება:

კონსულტაციები ექიმ-სპეციალისტებთან:

- ნევროპათოლოგი;
- ოფთალმოლოგი.

კლინიკო-ლაბორატორიული გამოკვლევები:

- სისხლის საერთო ანალიზი;
- თავის ქალის რენტგენოგრაფია;
- თვალის ფსკერისა და მხედველობის ველის გამოკვლევა;
- გლუკოზის განსაზღვრა სისხლში უზმოდ და ჭამის შემდეგ;
- შარდის საერთო ანალიზი (არანაკლებ 2 ერთეულისა);
- ზიმიცვის სინჯი (არანაკლებ 2 ერთეულისა);
- ელექტროლიტების – Na, K – განსაზღვრა სისხლში.

მედიკამენტის დოზის კორექციისთვის გათვალისწინებული ზემოხსენებული მომსახურებები ფინანსდება წელიწადში ერთჯერადად, არაუმეტეს 240 ლარით. უმაქრო დიაბეტის მქონე პირებისთვის, მომსახურება ფინანსდება 70%-ით.

მედიკამენტის დოზის კორექციისთვის გათვალისწინებული მომსახურებები სრულად, თანაგადახდის გარეშე ფინანსდება შემდეგი პირებისთვის:

- ✓ ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებული არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“, მათთვის მინიჭებული სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს;
- ✓ 2008 წლის 6 აგვისტოდან საქართველოზე რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული თავდასხმის შედეგად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა ოჯახები, რომლებიც განსახლებულ იქნენ სახელმწიფოს ან სხვა იურიდიული პირების

მიერ შესყიდულ, რეაბილიტირებულ ან ახლად აშენებულ საცხოვრებელ ადგილებში;

- ✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებელი დაწესებულებების, დედათა და ბავშვთა თავშესაფრებისა და სათემო ორგანიზაციების ბენეფიციარები;
 - ზრუნვის სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებში (ფილიალებში);
 - ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში, ხანდაზმულთა და შშმ პირთა პანსიონატებში მცხოვრები ბენეფიციარები;
 - დასაქმებული უფროსი აღმზრდელები და აღმზრდელები;
- ✓ რეინტეგრაციაში ან მინდობით აღზრდაში მყოფი ბავშვები, რომელთა გამოც ოჯახები იღებენ რეინტეგრაციის შემწეობას ან შვილობილად აყვანის (მინდობით აღზრდის) ანაზღაურებას;
- ✓ სახალხო არტისტები, სახალხო მხატვრები და რუსთაველის პრემიის ლაურეატები;
- ✓ საჯარო სკოლის მასწავლებლები;
- ✓ საჯარო სკოლის ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი;
- ✓ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლები;
- ✓ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ხოლო 2021 წლის 19 მარტიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში შემავალი იმ საჯარო სკოლის აღმზრდელი, სადაც ხორციელდება პანსიონური მომსახურება, სპეციალური ან კორექციული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები ან სწავლება იმ მოსწავლეებისათვის, რომელთაც ახასიათებთ საზოგადოებისთვის მიუღებელი, ნორმიდან გადახრილი ქცევა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ხოლო 2021 წლის 19 მარტიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მონაცემთა ბაზაში ან რომლის შრომითი ურთიერთობა კონკრეტულ დაწესებულებაში დადასტურდება შესაბამისი დაწესებულების დირექტორის მიერ სამინისტროში წარდგენილი დოკუმენტით;
- ✓ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გალის ტერიტორიაზე მდებარე საქართველოს სახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლები, რომელთა შესახებ ინფორმაცია ასახულია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს შესაბამის მონაცემთა ბაზაში;
- ✓ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ხოლო 2021 წლის 19 მარტიდან საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების – საგანმანათლებლო რესურსცენტრების თანამშრომლები;

- ✓ სკოლა-პანსიონებში მცხოვრები (მათ შორის, მზრუნველობამოკლებული და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე) ბავშვები;
- ✓ საჯარო სკოლაში დასაქმებული საპენსიო ასაკს მიღწეული პრაქტიკოსი მასწავლებელი, რომელმაც თანხმობა განაცხადა „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის №241 დადგენილებით განსაზღვრულ – საჯარო სკოლაში დასაქმებული საპენსიო ასაკს მიღწეული პრაქტიკოსი მასწავლებლის ფულადი ჯილდოს მიღებაზე;
- ✓ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიის მიმდებარედ მცხოვრები ოჯახები შესაბამისი მუნიციპალური ორგანოს მიერ მიწოდებული სიის შესაბამისად;

ახლადგამოვლენილი შაქრიანი დიაბეტის მქონე პირებისთვის

იმ პირებისთვის, რომელთაც პირველად დაუდგინდათ დიაბეტის დიაგნოზი, ზემოხსენებულ სერვისებზე დამატებით, პროგრამა უზრუნველყოფს შემდეგი სამუალებების პირველადად გადაცემას:

- **შპრიც-კალმისტრები-ინსულინის სახეობების შესაბამისად.**
 - * პროგრამის არსებული ბენეფიციარებისთვის შპრიც-კალმისტრები დამატებით გაიცემა მხოლოდ დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში, მოსარგებლის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე, წლის მანძილზე არაუმეტეს 1-ჯერ.
- **ინსულინის ნემსები- პირველ ჯერზე არა უმეტეს 1 კოლოფისა (100 ც).**
- **გლუკომეტრი-1 ცალი**
 - * გლუკომეტრის დაზიანების შემთხვევაში მისი გამოცვლა ხდება არაუმეტეს წელიწადში 1-ჯერ;
- **გლუკაგონი-1 ცალი.**
 - * მოხმარებული გლუკაგონი, მიმწოდებელთან წარდგენის შემთხვევაში, ჩანაცვლდება ახლით, წლის მანძილზე არაუმეტეს 1 ფლაკონით. სარგებლობაში გადაცემული გლუკაგონი, მოქმედების ვადის გასვლის შემთხვევაში, მიმწოდებელთან წარდგენის შემდგომ, ჩანაცვლდება ახლით.

18 წელზე უფროსი ასაკის ახლადგამოვლენილი პირებისთვის, ინსულინი გაიცემა კომისიური წესით.

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურებებით სარგებლობის წესი

პროგრამაში რეგისტრაციისთვის თავდაპირველად უნდა შეირჩეს პროგრამის მიმწოდებელი დაწესებულება, რომელთა ჩამონათვალი შეგიძლიათ იხილოთ მითითებულ ბმულზე: <https://nha.moh.gov.ge/ge/c/1015>.

პროგრამით განსაზღვრული მომსახურების მისაღებად რეგისტრაციისთვის, პირმა უნდა მიმართოს მომსახურების მიმწოდებელ სამედიცინო დაწესებულებას.

- სპეციალიზებული ამბულატორიული დახმარების მისაღებად, მოქალაქემ ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოში უნდა წარმოადგინოს: მისთვის სასურველი მიმწოდებელი დაწესებულებიდან - ფორმა NIV-100/ა და პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, რის საფუძველზეც ხდება თანხმობის წერილის გაცემა სააგენტოს მიერ, წელიწადში ერთხელ.
- პროგრამის სპეციალიზებული ამბულატორიული დახმარების კომპონენტით სარგებლობისთვის, დიაბეტის მქონე არაინსულინომხმარებელმა პირმა დამატებით უნდა წარმოადგინოს იმ ოჯახის/უბნის/სოფლის ექიმის მიერ გაცემული ფორმა №IV-100/ა, სადაც პაციენტია რეგისტრირებული შესაბამისი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში. აღნიშნული წესი არ ვრცელდება კერძო/კორპორატიული დაზღვევის მქონე პაციენტებზე, რომლებიც არ სარგებლობენ შესაბამისი სახელმწიფო პროგრამებით).

მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებები იხილეთ:

<https://nha.moh.gov.ge/ge/c/1015>

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დარეკეთ სამინისტროს ცხელ ხაზზე 15 05